# საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
# ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
# ბრძანება N 01-08/31

ქ. ბათუმი 02 ივნისი, 2017 წ.

**„თურქეთში ერზრუმის უნივერიტეტის საზაფხულო სკოლაში მონაწილეობის მისაღებად ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთა შესარჩევი კონკურსის ჩატარების, კომისიის შემადგენლობისა და კანდიდატთა შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის მოადგილის 2017 წლის 19 მაისის N 01-08/28 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლისა და ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსის გიორგი თავამაიშვილის 2017 წლის 31 მაისის MES 2 17 00569979 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. შევიდეს ცვლილება „თურქეთში ერზრუმის უნივერიტეტის საზაფხულო სკოლაში მონაწილეობის მისაღებად ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთა შესარჩევი კონკურსის ჩატარების, კომისიის შემადგენლობისა და კანდიდატთა შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის მოადგილის 2017 წლის 19 მაისის N 01-08/28 ბრძანების მე-2 პუნქტის „ა" და „გ" ქვეპუნქტებში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა". 2017 წლის 19 მაისიდან 2017 წლის 01 ივნისის ჩათვლით (18:00 საათამდე) - საბუთების წარმოდგენა ბსუ-ს კანცელარიის მეშვეობით;

„გ". 2017 წლის 02 ივნისი - გასაუბრება (შესარჩევ კომისიასთან , ბსუ-ს პირველი კორპუსი, ოთახი N35, მისამართი: ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ. N35).

2. ბრძანება აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტს, შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს და განთავსდეს ბსუ-ს საინფორმაციო დაფებზე ( კანცელარიასთან და ფაკულტეტებზე) და ბსუ-ს ვებგვერდზე.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი მ. ხალვაში